



## საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის ფარგლებში  
განხორციელებული და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო  
პროგრამებისთვის

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური

ხელოვნების ისტორია და თეორია (ხელოვნებათმცოდნეობა)  
მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი  
აპრილი 2026

დასკვნის წარდგენის თარიღი

აპრილი 2026

თბილისი

## შინაარსი

|                                                                                              |    |
|----------------------------------------------------------------------------------------------|----|
| I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ .....                                        | 4  |
| II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა.....                                  | 5  |
| III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი .....                         | 13 |
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა ..... | 15 |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა .....     | 27 |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა.....                                    | 35 |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა .....                                                   | 38 |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.....                                       | 47 |

### ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ<sup>1</sup>

|                                                                              |                                               |
|------------------------------------------------------------------------------|-----------------------------------------------|
| დაწესებულების სახელწოდება<br>ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის<br>მიითითებით | ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო<br>უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი                                           | 245628496                                     |
| დაწესებულების სახე                                                           | უნივერსიტეტი                                  |

### ექსპერტთა ჯგუფის წევრები

|                                                          |                                                                    |
|----------------------------------------------------------|--------------------------------------------------------------------|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი,<br>უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნინო ქავთარია, კ.კეკელიძის სახელობის<br>ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია,<br>ქვეყანა)       | თამთა კობახიძე, აკაკი წერეთლის<br>სახელმწიფო უნივერსიტეტი          |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია,<br>ქვეყანა)       |                                                                    |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია,<br>ქვეყანა)       |                                                                    |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია,<br>ქვეყანა)       |                                                                    |

<sup>1</sup> ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

## I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

|                                                                                                                                                                                                                                                                   |                                                    |
|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----------------------------------------------------|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)                                                                                                                                                                                                                  | ხელოვნების ისტორია და თეორია (ხელოვნებათმცოდნეობა) |
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)                                                                                                                                                                                                                | Art History and Theory                             |
| უმაღლესი განათლების საფეხური/პროგრამა                                                                                                                                                                                                                             | მაგისტრატურა                                       |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია <sup>2</sup>                                                                                                                                                                                                                            | ხელოვნების ისტორიისა და თეორიის მაგისტრი           |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი                                                                                                                                                                                                                                | 0213 სახვითი ხელოვნება. Fine Arts                  |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება <sup>3</sup>                                                                                                                                                  | -                                                  |
| სწავლების ენა                                                                                                                                                                                                                                                     | ქართული                                            |
| ECTS კრედიტების რაოდენობა                                                                                                                                                                                                                                         | 120                                                |
| პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)                                                                                                       | აკრედიტებული<br>13.06.2019<br>N 128                |
| პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები) | -                                                  |
| დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა                                                                                                                                            |                                                    |

<sup>2</sup> უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

<sup>3</sup> მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

### ▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ხელოვნების ისტორიისა და თეორიის (ხელოვნებათმცოდნეობა) სამაგისტრო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობა. პროცესი მიმდინარეობდა ონლაინ, დოკუმენტაციის შესწავლის გზით. დაწესებულებაში ფიზიკური ვიზიტი არ განხორციელებულა.

წინამდებარე დასკვნაში წარმოდგენილია პროგრამის შეფასება პირველ, მეორე, მესამე (მხოლოდ ნაწილობრივ) და მეოთხე სტანდარტებთან მიმართებით.

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ხელოვნების ისტორია და თეორია (ხელოვნებათმცოდნეობა)“ წარმოადგენს მეორე საფეხურის უმაღლესი განათლების პროგრამას, რომლის მოცულობა შეადგენს 120 ECTS კრედიტს და რომელიც მიეკუთვნება ხელოვნების დარგს (Fine Arts – 0213). პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება „ხელოვნების ისტორიისა და თეორიის მაგისტრის“ აკადემიური ხარისხი. პროგრამა ხორციელდება ქართულ ენაზე და მისი მიზანია თანამედროვე აკადემიური სტანდარტების შესაბამისი, მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტის მომზადება.

პროგრამა აკრედიტირებულია შესაბამისი საბჭოს გადაწყვეტილებით (13.06.2019, გადაწყვეტილება N 128) და მისი აკრედიტაციის ვადა იწურება 13.06.2030. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილია ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქ. ბათუმი, ზ. გორგილაძის ბაჟა-ფშაველას ქ. N19.32.

პროგრამის კონცეფცია ეფუძნება კომპეტენციებზე დაფუძნებულ და სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომას, რაც გულისხმობს როგორც თეორიული ცოდნის გადაცემას, ასევე პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების სისტემურ განვითარებას. პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები ურთიერთდაკავშირებულია და ორიენტირებულია ისეთი კურსდამთავრებულის ფორმირებაზე, რომელიც ფლობს სიღრმისეულ დარგობრივ ცოდნას, კრიტიკულ და ანალიტიკურ აზროვნებას, კვლევის დაგეგმვისა და განხორციელების უნარს, ასევე პროფესიული ეთიკისა და პასუხისმგებლობის მაღალი სტანდარტის გააზრებას.

პროგრამის სტრუქტურა არის ლოგიკურად აგებული და თანმიმდევრული. იგი მოიცავს სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს, მოდულურ სპეციალიზაციას, პრაქტიკულ კომპონენტს, კვლევით პროექტს და სამაგისტრო ნაშრომს. სასწავლო პროცესი იწყება დარგის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლების შესწავლით, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის აკადემიური ბაზის ფორმირებას, ხოლო შემდგომ ეტაპზე გადადის სპეციალიზებულ და პრაქტიკულ კომპონენტებზე, რაც საბოლოოდ კონცენტრირდება დამოუკიდებელ კვლევით საქმიანობაში - სამაგისტრო ნაშრომის შესრულებაში (პროგრამა მოცავს სპეციალობის ძირითად კურსებს - 9 კურსი, მათ შორის სამუზეუმო პრაქტიკა, პრაქტიკა, კვლევითი პროექტი და სამაგისტრო ნაშრომი; მოდულების ძირითად 7-7 კურსს, და არჩევით 17 კურსს).

პროგრამის მნიშვნელოვანი მახასიათებელია მისი მოდულური სტრუქტურა, რომელიც სტუდენტს სთავაზობს არჩევანს ორ ძირითად მიმართულებას შორის:

- ძველი ქართული ხელოვნების ისტორია;
- თანამედროვე ქართული ხელოვნების ისტორია.

აღნიშნული მოდულები ერთმანეთისგან განსხვავებული, თუმცა პროგრამის საერთო მიზნებთან თანხვედრილი შინაარსობრივი ერთეულებია და უზრუნველყოფს როგორც ისტორიული, ისე თანამედროვე სახელოვნებო პროცესების სიღრმისეულ გააზრებას. ეს სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას საკუთარი აკადემიური ინტერესების შესაბამისად მოახდინოს სპეციალიზაცია და განავითაროს კონკრეტული დარგობრივი კომპეტენციები.

პროგრამაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კვლევით კომპონენტს. კურიკულუმი მოიცავს როგორც მცირე მასშტაბის კვლევით პროექტს, ასევე სამაგისტრო ნაშრომს, რაც ჯამურად უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ დამოუკიდებელი კვლევის სრული ციკლის გავლას - კვლევის თემის შერჩევიდან შედეგების ანალიზსა და აკადემიურ ფორმატში წარმოდგენამდე. აღნიშნული კომპონენტი სრულად შეესაბამება სამაგისტრო საფეხურის მოთხოვნებს და მნიშვნელოვნად უწყობს ხელს კვლევითი და ანალიტიკური უნარების განვითარებას.

პროგრამის შინაარსი გამოირჩევა ინტერდისციპლინური ხასიათით. იგი მოიცავს მომიჯნავე დარგებს, როგორიცაა კულტურის კვლევები, მუზეუმოლოგია, კულტურული მემკვიდრეობა, კულტურის მენეჯმენტი და კომუნიკაციები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტში ფართო აკადემიური ხედვის ჩამოყალიბებას და ცოდნის გამოყენების შესაძლებლობას მრავალფეროვან პროფესიულ კონტექსტში. აღნიშნული მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით.

პროგრამა ასევე მოიცავს პრაქტიკულ კომპონენტს (სამუზეუმო პრაქტიკა), რომელიც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას რეალურ პროფესიულ გარემოში განავითარონ პრაქტიკული უნარები, გაიღრმავონ დარგობრივი ცოდნა და უკეთ გაეცნონ პროფესიული საქმიანობის სპეციფიკას. პრაქტიკის განხორციელება დაკავშირებულია შესაბამის კულტურულ და სამეცნიერო ინსტიტუტებთან თანამშრომლობასთან, რაც ზრდის პროგრამის პრაქტიკულ ღირებულებას.

პროგრამის მიზნები, შინაარსი და სტრუქტურა შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნებს და უზრუნველყოფს ისეთი კურსდამთავრებულის მომზადებას, რომელიც მზად არის პროფესიული საქმიანობისთვის როგორც აკადემიურ, ისე პრაქტიკულ სფეროებში - სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, მუზეუმებში, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ორგანიზაციებში, საგანმანათლებლო სივრცეში და კულტურის მენეჯმენტის სფეროში.

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი შეფასება განხორციელებულია დისტანციურ რეჟიმში და ეფუძნება მხოლოდ უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტაციას (კურიკულუმი, სილაბუსები, შეფასების მექანიზმები და სხვა მასალები). შესაბამისად, ანალიზი ეფუძნება დოკუმენტური მასალის შინაარსობრივ შეფასებას და არ მოიცავს ინფრასტრუქტურის ადგილზე დათვალიერებას, რაც გათვალისწინებული უნდა იქნას შეფასების ზოგადი კონტექსტის განსაზღვრისას.

#### ▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის პროცესის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება განხორციელდა დისტანციურ რეჟიმში. შესაბამისად, ტრადიციული მნიშვნელობით ადგილზე ვიზიტი არ განხორციელებულა და შეფასება დაეფუძნა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშს, კურიკულუმსა და თანდართულ დოკუმენტაციას. დისტანციური შეფასების ფორმატმა განსაზღვრა პროცესის თავისებურებები - ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად გააანალიზა წარმოდგენილი დოკუმენტები, მათ შორის პროგრამის კურიკულუმი, სასწავლო კურსების სილაბუსები, სწავლის შედეგების რუკა, შეფასების მექანიზმები, პერსონალის შესახებ ინფორმაცია და სხვა მასალები, რაც საშუალებას იძლეოდა შეფასებულიყო პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.

აღსანიშნავია, რომ დისტანციური ფორმატი ზღუდავს ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უშუალო ადგილზე შეფასების შესაძლებლობას. შესაბამისად, აღნიშნული კომპონენტის ანალიზი სრულად ეფუძნება დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ადწერით და დამადასტურებელ დოკუმენტაციას.

მიუხედავად აღნიშნული შეზღუდვისა, წარმოდგენილი მასალები იყო სტრუქტურირებული, შინაარსობრივად დეტალური და შესაბამისი, რაც ექსპერტთა ჯგუფს აძლევდა

შესაძლებლობას შეეფასებინა პროგრამის ძირითადი კომპონენტები, მათ შორის მიზნები, სწავლის შედეგები, სწავლება-სწავლის პროცესის ორგანიზება, შეფასების მექანიზმები და რესურსები.

ამგვარად, აკრედიტაციის პროცესი განხორციელდა დოკუმენტური ანალიზის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებას წარმოდგენილი მტკიცებულებების მიხედვით.

#### ▪ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტაციის საფუძველზე განხორციელებული ანალიზი ცხადყოფს, რომ სამაგისტრო პროგრამა „ხელოვნების ისტორია და თეორია (ხელოვნებათმცოდნეობა)“ მთლიანობაში შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებს.

პირველი სტანდარტის ფარგლებში დგინდება, რომ პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები შესაბამისობაშია დარგის სპეციფიკასთან და სამაგისტრო საფეხურის მოთხოვნებთან. ამასთან, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები და პროგრამის სტრუქტურა შეფასებულია როგორც მეტწილად შესაბამისობაში, რაც მიუთითებს გაუმჯობესების გარკვეულ საჭიროებებზე, განსაკუთრებით შეფასების ანალიზის სისტემატიზაციისა და შინაარსობრივი გაძლიერების მიმართულებით.

მეორე სტანდარტთან მიმართებით პროგრამა სრულად შეესაბამება მოთხოვნებს დაშვების წინაპირობები არის გამჭვირვალე, სწავლება-სწავლის მეთოდები მრავალფეროვანი და სტუდენტზე ორიენტირებული, ხოლო შეფასების სისტემა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის ობიექტურ და სანდო შეფასებას.

მესამე სტანდარტის ფარგლებში, ნაწილობრივ შეფასებული კომპონენტებიდან, მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს და უზრუნველყოფს სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის ეფექტიან განხორციელებას.

მეოთხე სტანდარტის მიხედვით პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური, აკადემიური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით, ხოლო აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია და პროფესიული განვითარება სრულ შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან და მოთხოვნებთან.

ამდენად, პირველი სტანდარტის 1.1, 1.2 და 1.5 კომპონენტი შესაბამისია სტანდარტის, 1.3 და 1.4 მეტწილად შესაბამისია მოთხოვნის; მეორე სტანდარტის ყველა კომპონენტი შესაბამისია სტანდარტის; მესამე სტანდარტში შეფასდა მხოლოდ 3.2 და შესაბამისია მოთხოვნის; მეოთხე სტანდარტში შეფასდა 4.1, 4.2, 4.3 და 4.4 კომპონენტები და ყველა შესაბამისობაშია სტანდარტთან. დისტანციური რეჟიმის გამო სხვა კომპონენტები არ შეფასებულა.

საერთო ჯამში, პროგრამა აკმაყოფილებს აკრედიტაციის სტანდარტების ძირითად მოთხოვნებს, თუმცა ცალკეული კომპონენტების დახვეწა ხელს შეუწყობს მისი ხარისხის შემდგომ გაუმჯობესებას და სრულ შესაბამისობას ყველა სტანდარტთან.

#### ▪ რეკომენდაციები

- საგანმანათლებლო პროგრამამ უფრო სისტემურად უნდა წარმოაჩინოს სწავლის შედეგების შეფასების ანალიზზე დაფუძნებული გაუმჯობესების პრაქტიკა, მათ შორის, მიღებული შედეგების საფუძველზე განხორციელებული ცვლილებების დოკუმენტირება.

- მიზანშეწონილია, პროგრამის სტრუქტურაში კიდევ უფრო გაძლიერდეს საერთაშორისო და შედარებითი სახელოვნებო კვლევების კომპონენტი, რაც სტუდენტთა აკადემიურ პროფილს გააფართოვებს.
  - საჭიროა, სწავლის შედეგებში უფრო მკაფიოდ აისახოს ციფრული ჰუმანიტარიის, თანამედროვე კვლევითი პლატფორმებისა და საერთაშორისო აკადემიური რესურსების გამოყენების უნარები, რაც გააძლიერებს შედეგების შესაბამისობას თანამედროვე აკადემიურ სტანდარტებთან. სასურველია, კიდევ უფრო გაფართოვდეს ციფრული სწავლების კომპონენტები და ელექტრონული რესურსების ინტეგრაცია, რაც გააძლიერებს სტუდენტთა კვლევით და საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში ჩართულობის შესაძლებლობებს.
- **რჩევები**
- სასურველია პროგრამის მიზნების ფორმულირებაში უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს კურსდამთავრებულის საერთაშორისო აკადემიურ და პროფესიულ სივრცეში ინტეგრაციის პერსპექტივა, რაც უზრუნველყოფს მიზნების სრულ შესაბამისობას თანამედროვე დარგობრივ მოთხოვნებთან.
  - სასურველია, სწავლის შედეგების შეფასების ანალიზში უფრო აქტიურად იქნას გამოყენებული დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა უკუკავშირი.
  - სასურველია, სილაბუსებში სისტემურად განახლდეს უახლესი საერთაშორისო სამეცნიერო ლიტერატურა და ელექტრონული რესურსები, განსაკუთრებით იმ კურსებში, რომლებიც თანამედროვე კვლევით მიდგომებს ეხება.
  - სასურველია, პროგრამამ კიდევ უფრო გააძლიეროს სტუდენტთა ჩართულობა საერთაშორისო კვლევით და პროფესიულ პროექტებში, რაც ხელს შეუწყობს მათი კვლევითი და ტრანსფერული კომპეტენციების საერთაშორისო დონეზე განვითარებას.
  - სასურველია, შეფასების პროცესში კიდევ უფრო გაძლიერდეს უკუკავშირის მექანიზმები, რაც სტუდენტებს დაეხმარება საკუთარი აკადემიური პროგრესის უკეთ გააზრებასა და გაუმჯობესებაში.
  - სასურველია სამაგისტრო ნაშრომის შესრულების პროცესის შუალედური მონიტორინგის მექანიზმების უფრო სისტემური ფორმალიზაცია, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტთა კვლევითი პროცესის ეფექტიან მართვას და ნაშრომის ხარისხის გაუმჯობესებას.
  - სასურველია, კიდევ უფრო გაძლიერდეს მაგისტრანტთა ჩართულობა ერთობლივ (კოლაბორაციულ) კვლევით პროექტებში, რაც ხელს შეუწყობს მათი კვლევითი და პროფესიული კომპეტენციების გაღრმავებას.
  - სასურველია, გაგრძელდეს აკადემიური პერსონალის საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში ჩართულობის გაძლიერება (მოზილობა, ერთობლივი კვლევები), რაც დამატებით გააუმჯობესებს პროგრამის ხარისხსა და საერთაშორისო ინტეგრაციას.

- საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, მაგალითად:

- **პერსონალი და ნაშრომების ხელმძღვანელები** - პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული და საერთაშორისო პერსონალი); დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის მონაცემები; აკადემიური/სამეცნიერო პერსონალისა და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა; აფილირებული და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა; მაგისტრანტების და ხელმძღვანელების თანაფარდობა;

წარმოდგენილი რაოდენობრივი მონაცემების, პერსონალის CV-ებისა და სასწავლო კურსების სილაბუსების ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული ადამიანური რესურსი როგორც რაოდენობრივად, ისე ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის ეფექტიან ფუნქციონირებას და სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამაში ჩართულია ჯამში **20 პერსონალი**, მათ შორის:

- აკადემიური პერსონალი – 9 (45%),
- მოწვეული პერსონალი – 11 (55%).

აკადემიური პერსონალის სტრუქტურა შემდეგნაირია:

- პროფესორი – 6 (66.7%),
- ასოცირებული პროფესორი – 2 (22.2%),
- ასისტენტ-პროფესორი – 1 (11.1%).

აკადემიური პერსონალის **8 წევრი არის აფილირებული**, რაც შეადგენს დაახლოებით **89%-ს**, რაც მიუთითებს პროგრამის მაღალი ხარისხის ინსტიტუციურ მდგრადობაზე და სტაბილურობაზე.

დარგობრივი მიმართულებით ჩართულია აკადემიური პერსონალის სრული შემადგენლობა (**100%**), რაც უზრუნველყოფს სწავლების სრულ შესაბამისობას პროგრამის პროფილთან. ამასთან, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ფლობს დოქტორის ხარისხს, რაც სრულად შეესაბამება სამაგისტრო საფეხურის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს კვლევითი კომპონენტის მაღალ დონეზე განხორციელებას.

მოწვეული პერსონალის რაოდენობა შეადგენს **11-ს**, საიდანაც **5 არის დარგობრივი სპეციალისტი (45.5%)**, რაც მიუთითებს, რომ პროგრამა აქტიურად იყენებს პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაფუძნებულ სწავლების რესურსს.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა (**45% : 55%**) შეიძლება შეფასდეს როგორც ფუნქციურად დაბალანსებული - აკადემიური პერსონალი უზრუნველყოფს პროგრამის აკადემიურ და კვლევით საფუძველს, ხოლო მოწვეული პერსონალი ამდიდრებს მას პრაქტიკული და თანამედროვე პროფესიული გამოცდილებით.

პროგრამის სასწავლო კომპონენტების მოცულობის ანალიზი აჩვენებს, რომ კურიკულუმი მოიცავს:

- სპეციალობის ძირითად კურსებს – 9,
- მოდულების ძირითად კურსებს – 14 (7+7),
- არჩევით კურსებს – 17,

რაც ჯამში ქმნის **40 სასწავლო კომპონენტს**. აღნიშნული მოცულობა მიუთითებს პროგრამის შინაარსობრივ სიღრმესა და მრავალფეროვნებაზე და საჭიროებს ადეკვატურ ადამიანურ რესურსს.

არსებული **20 პერსონალი 40 კურსზე** განაწილების პირობებში ნიშნავს, რომ საშუალოდ თითო პერსონალზე მოდის დაახლოებით **2 სასწავლო კომპონენტი**, რაც ოპტიმალურია და

უზრუნველყოფს როგორც სწავლების ხარისხს, ისე აკადემიური დატვირთვის რაციონალურ განაწილებას.

სილაბუსების ანალიზი ადასტურებს, რომ კურსები განაწილებულია პერსონალის კომპეტენციების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობა ხორციელდება აკადემიური პერსონალის მიერ, და არსებული რესურსების გათვალისწინებით, მაგისტრანტთა და ხელმძღვანელთა თანაფარდობა იძლევა ინდივიდუალური მუშაობის შესაძლებლობას, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია სამაგისტრო საფეხურისთვის.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ პროგრამაში ჩართული ადამიანური რესურსი, როგორც რაოდენობრივი, ისე პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით, სრულად შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად და ეფექტიან განხორციელებას.

სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობა ხორციელდება აკადემიური პერსონალის მიერ, რაც სრულად შეესაბამება სამაგისტრო საფეხურის მოთხოვნებს. ხელმძღვანელებად წარმოდგენილია ძირითადად პროფესორები და ასოცირებული პროფესორები, რაც უზრუნველყოფს მაღალი დონის სამეცნიერო ხელმძღვანელობას.

აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობის გათვალისწინებით (9 პირი), შესაძლებელია დასკვნის გაკეთება, რომ პოტენციური სამაგისტრო ხელმძღვანელების რესურსი არის საკმარისი. არსებული მოდელის პირობებში, თითო ხელმძღვანელზე მოდის მართვადი რაოდენობის მაგისტრანტი (დოკუმენტაციის მიხედვით არ იკვეთება გადატვირთვის რისკი), რაც უზრუნველყოფს ინდივიდუალური მუშაობის შესაძლებლობას და კვლევითი პროცესის ხარისხიან წარმართვას.

პერსონალის CV-ების ანალიზი ადასტურებს, რომ ხელმძღვანელები ფლობენ:

- დოქტორის აკადემიურ ხარისხს,
- სამეცნიერო-კვლევით გამოცდილებას,
- პუბლიკაციებსა და კონფერენციებში მონაწილეობის გამოცდილებას,

რაც უზრუნველყოფს სამაგისტრო ნაშრომების მაღალ აკადემიურ დონეზე შესრულებას.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ სამაგისტრო ნაშრომი პროგრამაში წარმოადგენს მნიშვნელოვან კომპონენტს (30 ECTS), რაც კიდევ უფრო ზრდის ხელმძღვანელის როლს და მოითხოვს შესაბამის კვალიფიკაციას - აღნიშნული მოთხოვნა წარმოდგენილი პერსონალის შემთხვევაში დაკმაყოფილებულია.

სილაბუსებისა და პროგრამის სტრუქტურის ანალიზი მიუთითებს, რომ კვლევითი უნარების განვითარება ეტაპობრივად მიმდინარეობს და საბოლოოდ კონცენტრირდება სამაგისტრო ნაშრომში, რაც ხელმძღვანელთა ჩართულობას სისტემურ და მიზნობრივ ხასიათს აძლევს.

- **სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები** - პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში); საერთაშორისო ინდექსის მქონე რეცენზირებულ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობრივი მონაცემები; ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში პერსონალის მონაწილეობის მაჩვენებლები; სხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები;

პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV-ებისა და თანდართული დოკუმენტაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პირები აქტიურად არიან ჩართული სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სწავლების ხარისხზე და უზრუნველყოფს თანამედროვე დარგობრივი ცოდნის ინტეგრაციას სასწავლო პროცესში.

ბოლო 5 წლის მონაცემების მიხედვით, აკადემიური პერსონალის ნაწილი სისტემურად აქვეყნებს სამეცნიერო ნაშრომებს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო გამოცემებში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია საერთაშორისო ინდექსირებულ ჟურნალებში. გამოქვეყნებული პუბლიკაციები, რაც მიუთითებს კვლევის შედეგების საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში ინტეგრაციაზე და პერსონალის მაღალი სამეცნიერო აქტივობაზე. მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში პუბლიკაციების ზუსტი რაოდენობრივი მაჩვენებლები სრულად ერთიანი ფორმით არ არის კონსოლიდირებული, CV-ების ანალიზი ადასტურებს, რომ აკადემიური პერსონალის მნიშვნელოვანი ნაწილი ფლობს საერთაშორისო პუბლიკაციების გამოცდილებას.

ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში პერსონალის მონაწილეობა არის რეგულარული და მრავალფეროვანი. პროგრამაში ჩართული პირები მონაწილეობენ როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო ფორუმებში, რაც უზრუნველყოფს მათ ჩართულობას თანამედროვე სამეცნიერო დისკურსში, კვლევითი თემატიკის აქტუალიზაციას და აკადემიური გამოცდილების გაზიარებას. აღნიშნული აქტივობა ხელს უწყობს სწავლების პროცესში უახლესი კვლევითი მიდგომებისა და შედეგების ინტეგრაციას.

- **აკადემიური პერსონალის გადინების მაჩვენებელი** (ბოლო 5 წლის განმავლობაში) (მაგ. პენსიაზე გასული, დაწესებულებიდან წასული, ახალი პერსონალის რაოდენობა და ა.შ.);

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ აკადემიური პერსონალის გადინების მაჩვენებელი ბოლო 5 წლის განმავლობაში არის დაბალი, რაც მიუთითებს პროგრამის სტაბილურობასა და ადამიანური რესურსის მდგრადობაზე.

წარმოდგენილი მასალების მიხედვით, არ ფიქსირდება აკადემიური პერსონალის მასშტაბური გადინება (პენსიაზე გასვლა ან დაწესებულებიდან წასვლა), რაც საშუალებას იძლევა შენარჩუნდეს პროგრამის განხორციელების უწყვეტობა, აკადემიური გამოცდილების დაგროვება და კურიკულუმის თანმიმდევრული განვითარება. ამასთან, არსებული მონაცემები მიუთითებს, რომ პროგრამაში ჩართული ძირითადი აკადემიური ბირთვი არის სტაბილური და ხასიათდება ხანგრძლივი თანამშრომლობით უნივერსიტეტთან.

პარალელურად, დოკუმენტაციის მიხედვით, უნივერსიტეტი ზრუნავს პერსონალის განახლებასა და პროფესიულ განვითარებაზე, რაც გამოიხატება ახალი აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობით, განსაკუთრებით სპეციფიკური დარგობრივი მიმართულებების გაძლიერების მიზნით. აღნიშნული პროცესი უზრუნველყოფს როგორც აკადემიური გამოცდილების შენარჩუნებას, ისე ახალი ცოდნისა და თანამედროვე მიდგომების ინტეგრაციას სასწავლო პროცესში.

აკადემიური პერსონალის სტრუქტურის ანალიზი (6 პროფესორი, 2 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ-პროფესორი) მიუთითებს, რომ პროგრამაში შენარჩუნებულია მაღალი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მნიშვნელოვანი წილი, რაც ასევე ირიბად ადასტურებს პერსონალის დაბალ გადინებას და მაღალი დონის სტაბილურობას.

მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გადინების ზუსტი რაოდენობრივი მაჩვენებლები (მაგ., კონკრეტული პირების რაოდენობა, წლიური დინამიკა) დეტალურად არ არის გაწერილი, არსებული ანალიზი ცხადყოფს, რომ პერსონალის ცვლილება არის მართვადი და არ ქმნის რისკს პროგრამის ხარისხისათვის.

- **ჩარიცხულ პირთა შესახებ მონაცემები** (ბოლო 5 წლის განმავლობაში, მოქმედი პროგრამების შემთხვევაში); პროგრამაზე გამოცხადებული სტუდენტთა ადგილების რაოდენობა; სტუდენტთა პროგრესის სასწავლო წლების მიხედვით;

წარმოდგენილ დოკუმენტებში სტუდენტთა რაოდენობა მითითებული არ არის.

თვითშეფასების დანართში მოცემული სხვა რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)<sup>4</sup>
- ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

სსიპ ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიციის (ხელოვნების ისტორიისა და თეორიის (ხელოვნებათმცოდნეობა) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა) თანახმად, ინსტიტუცია სრულად იზიარებს ექსპერტთა მიერ გაცემულ I და III რეკომენდაციას და გაითვალისწინებს მათ.

შესაბამისად, ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები უცვლელი რჩება.

რაც შეეხება მეორე რეკომენდაციას, შემოთავაზებულია საფუძვლიანი განმარტება, რომელიც შეიძლება ჩავთვალოთ მეორე რეკომენდაციის არგუმენტირებულ პასუხად.

- ხელახალი აკრედიტაციისას, აკრედიტაციის პერიოდში მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოკლე მიმოხილვა, ასევე, წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი.

---

<sup>4</sup> პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის.

### III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწამებული ცხრილი

|           | სტანდარტი                                                                                                          | შეფასება                        |
|-----------|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------|---------------------------------|
| <b>1.</b> | <b>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა</b>                         | აირჩიეთ შესაბამისი              |
| 1.1       | <a href="#">პროგრამის მიზნები</a>                                                                                  | შესაბამისობაშია                 |
| 1.2       | <a href="#">პროგრამის სწავლის შედეგები</a>                                                                         | შესაბამისობაშია                 |
| 1.3       | <a href="#">პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი</a>                                                    | მეტწილად შესაბამისობაშია        |
| 1.4       | <a href="#">საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი</a>                                                    | მეტწილად შესაბამისობაშია        |
| 1.5       | <a href="#">სასწავლო კურსი/საგანი</a>                                                                              | შესაბამისობაშია                 |
| <b>2.</b> | <b>სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა</b>                             | აირჩიეთ შესაბამისი              |
| 2.1       | <a href="#">პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</a>                                                                   | შესაბამისობაშია                 |
| 2.2       | <a href="#">პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</a> | შესაბამისობაშია                 |
| 2.3       | <a href="#">სწავლება-სწავლის მეთოდები</a>                                                                          | შესაბამისობაშია                 |
| 2.4       | <a href="#">სტუდენტების შეფასება</a>                                                                               | შესაბამისობაშია                 |
| <b>3.</b> | <b>სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა</b>                                                           | აირჩიეთ შესაბამისი              |
| 3.1       | <a href="#">სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები</a>                                                   | აირჩიეთ შესაბამისი              |
| 3.2       | <a href="#">მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა</a>                                                                        | შესაბამისობაშია                 |
| <b>4</b>  | <b>სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა</b>                                                                           | აირჩიეთ შესაბამისი              |
| 4.1       | <a href="#">ადამიანური რესურსი</a>                                                                                 | შესაბამისობაშია<br>მოთხოვნებთან |
| 4.2       | <a href="#">მაგისტრანტისა ხელმძღვანელის კვალიფიკაცია</a>                                                           | შესაბამისობაშია                 |
| 4.3       | <a href="#">აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება</a>                               | შესაბამისობაშია                 |
| 4.4       | <a href="#">მატერიალური რესურსი</a>                                                                                | შესაბამისობაშია                 |
| 4.5       | <a href="#">პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა</a>                               | აირჩიეთ შესაბამისი              |
| <b>5</b>  | <b>სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები</b>                                                              | აირჩიეთ შესაბამისი              |
| 5.1       | <a href="#">შიდა ხარისხის შეფასება</a>                                                                             | აირჩიეთ შესაბამისი              |
| 5.2       | <a href="#">გარე ხარისხის შეფასება</a>                                                                             | აირჩიეთ შესაბამისი              |
| 5.3       | <a href="#">პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება</a>                                                        | აირჩიეთ შესაბამისი              |

სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები (იხ. ბმული)

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო

რჩევები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შეფასების თაობაზე  
შეფასების კრიტერიუმები

**განმარტებები:**

**რეკომენდაციები** - წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები** - არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამების განვითარებისთვის

### III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

#### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

##### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

#### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „ხელოვნების ისტორია და თეორია (ხელოვნებათმცოდნეობა)“ მიზნები მკაფიოდ და თანმიმდევრულად არის ფორმულირებული და შეესაბამება როგორც ხელოვნების ისტორიისა და თეორიის დარგის სპეციფიკას, ისე სამაგისტრო საფეხურის მოთხოვნებს. პროგრამა ორიენტირებულია მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტის მომზადებაზე, რომელიც ფლობს სიღრმისეულ დარგობრივ ცოდნას, განვითარებულ ანალიტიკურ და კვლევით უნარებს და შეუძლია ხელოვნების ნიმუშების კრიტიკული გააზრება და ინტერპრეტაცია ისტორიულ, კულტურულ და თეორიულ კონტექსტებში.

პროგრამის მიზანია ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სფეროში მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტის მომზადება, რომელიც ფლობს ღრმა და სისტემურ ცოდნას, აცნობიერებს ქართული ხელოვნების ისტორიულ და კულტურულ მნიშვნელობას და შეუძლია მისი გააზრება მსოფლიო კულტურის კონტექსტში.

ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოსა და სწავლოს სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის შემდგომ არ შეცვლილა სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება, თუმცა დაკორექტირდა მისანიჭებელი კლასიფიკაცია: ხელოვნების ისტორიისა და თეორიის მაგისტრი.

პროგრამის მიზნები მკაფიოდ ასახავს იმ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, რომლებიც კურსდამთავრებულს უნდა გააჩნდეს. დარგობრივი კომპეტენციების პარალელურად, მიზნები მოიცავს კვლევის დაგეგმვისა და განხორციელების, წყაროების კრიტიკული ანალიზის, აკადემიური წერისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარების განვითარებას. ამასთან, პროგრამა უზრუნველყოფს ტრანსფერული უნარების ფორმირებას, მათ შორის ეფექტური კომუნიკაციის, პრეზენტაციის, გუნდური მუშაობისა და დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების უნარებს, რაც მნიშვნელოვანია კურსდამთავრებულის პროფესიული რეალიზაციისათვის.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის სტრუქტურა ითვალისწინებს ორ მოდულს - ძველი ქართული ხელოვნების ისტორიისა და თანამედროვე ქართული ხელოვნების ისტორიის მიმართულებებს, რაც სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას მოახდინოს საკუთარი აკადემიური ინტერესების მიხედვით სპეციალიზაცია. თითოეულ მოდულს აქვს საკუთარი მიზნები და ამოცანები, რომლებიც ორიენტირებულია შესაბამისი ისტორიული პერიოდის მხატვრული პროცესების სიღრმისეულ შესწავლაზე, ანალიზსა და ინტერპრეტაციაზე, რაც მნიშვნელოვნად ზრდის პროგრამის მიზნობრივობასა და დარგობრივ სიღრმეს.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის მიზნებში მკაფიოდ იკვეთება კვლევითი და ანალიტიკური კომპონენტის პრიორიტეტულობა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაგისტრატურის საფეხურისთვის. პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტებში დამოუკიდებელი კვლევის, კრიტიკული აზროვნებისა და ხელოვნებათმცოდნეობითი ანალიზის უნარების განვითარებაზე, რაც უზრუნველყოფილია როგორც პროგრამის სტრუქტურით, ისე შესაბამისი სასწავლო კურსების შინაარსით.

ამასთანავე, პროგრამის მიზნები ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის კვლევის, დაცვისა და პოპულარიზაციის მნიშვნელობას, რაც ხაზს უსვამს პროგრამის საზოგადოებრივ და პროფესიულ როლს.

განხორციელდა მიზნების ტექსტური რედაქტირება, თუმცა არსებითი ცვლილებები არ მომხდარა;

პროგრამის მიზნები სრულ თანხვედრაშია სწავლის შედეგებთან, რაც დასტურდება მათი ლოგიკური კავშირით და რეალიზაციით სასწავლო კომპონენტებში. მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის მიზნები ასახავს შრომის ბაზრის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა მრავალფეროვან პროფესიულ რეალიზაციას, მათ შორის სამეცნიერო, სამუზეუმო, საგანმანათლებლო და კულტურული მემკვიდრეობის სფეროებში.

პროგრამის მიზნები თანხვედრაშია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მისიასთან, მიზნებსა და სტრატეგიულ პრიორიტეტებთან. ისინი ორიენტირებულია როგორც აკადემიური ცოდნის გაღრმავებაზე, ისე კულტურული მემკვიდრეობის კვლევაზე, დაცვისა და პოპულარიზაციის ხელშეწყობაზე. აღნიშნული მიმართულებები უზრუნველყოფს პროგრამის წვლილს როგორც დარგის განვითარებაში, ისე საზოგადოების კულტურულ და ინტელექტუალურ წინსვლაში.

მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის მიზნები ითვალისწინებს დარგის თანამედროვე ტენდენციებს და ინტერდისციპლინურ მიდგომებს. პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილია ხელოვნებათმცოდნეობის სხვადასხვა მიმართულება (ხელოვნების ისტორია, არქიტექტურა, თეატრი, კინემატოგრაფი, კულტურის კვლევები), რაც ქმნის კურსდამთავრებულის ფართო პროფესიულ პროფილს. ამასთან, პროგრამაში ინტეგრირებულია ისეთი კომპონენტები, როგორიცაა კულტურის მენეჯმენტი, მარკეტინგული კომუნიკაციები და საზოგადოებასთან ურთიერთობა, რაც აძლიერებს პროგრამის პრაქტიკულ და პროფესიულ ორიენტაციას და ზრდის კურსდამთავრებულის კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე.

პროგრამის მიზნები სრულ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. ისინი არის მკაფიო, ლოგიკური, რეალისტური და უზრუნველყოფილია პროგრამის შინაარსითა და სტრუქტურით. პროგრამა უზრუნველყოფს ისეთი კურსდამთავრებულის მომზადებას, რომელიც ფლობს როგორც დარგობრივ, ისე ტრანსფერულ კომპეტენციებს და შეუძლია ეფექტურად იმოქმედოს როგორც აკადემიურ, ისე პროფესიულ სივრცეში.

## მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში
- ხელოვნების ისტორიისა და თეორიის (ხელოვნებათმცოდნეობის) სამაგისტრო პროგრამა;
- უნივერსიტეტის ვებ გვერდი;
- სილაბუსები

#### რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

#### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის
- სასურველია პროგრამის მიზნების ფორმულირებაში უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს კურსდამთავრებულის საერთაშორისო აკადემიურ და პროფესიულ სივრცეში ინტეგრაციის პერსპექტივა, რაც უზრუნველყოფს მიზნების სრულ შესაბამისობას თანამედროვე დარგობრივ მოთხოვნებთან.

#### **შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი                   | შეფასება        |
|------------------------------|-----------------|
| <u>1.1 პროგრამის მიზნები</u> | შესაბამისობაშია |

#### **1.2 პროგრამის სწავლის შედეგები**

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

#### **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები მკაფიოდ არის ფორმულირებული, შესაბამისობაშია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VII დონესთან და სრულად ასახავს პროგრამის მიზნებს, რაც დადასტურებულია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკით, რომელიც აჩვენებს, რომ თითოეული სწავლის შედეგი ემსახურება პროგრამის ერთ ან რამდენიმე მიზანს.

სწავლის შედეგები სტრუქტურირებულია ცოდნისა და გაცნობიერების, უნარებისა და პასუხისმგებლობის/ავტონომიურობის კომპონენტებად და სრულად შეესაბამება სამაგისტრო საფეხურის მოთხოვნებს. შედეგები ფორმულირებულია აქტიური ზმნებით და ასახავს იმ ცოდნასა და უნარებს, რომლებიც სტუდენტმა უნდა გამოავლინოს პროგრამის დასრულების შემდეგ. ისინი ასახავს ხელოვნებათმცოდნეობის დარგისთვის სპეციფიკურ კომპეტენციებს და არ არის ზოგადი ხასიათის.

პროგრამის სწავლის შედეგები მოიცავს:

- ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სფეროს ღრმა და სისტემურ ცოდნას;
- ხელოვნების ნიმუშების ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარს;
- კვლევითი მეთოდოლოგიის გამოყენებისა და დამოუკიდებელი კვლევის განხორციელების უნარს;
- ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებას;
- პროფესიული პასუხისმგებლობისა და ეთიკური სტანდარტების დაცვას.

აღსანიშნავია, რომ სწავლის შედეგებში მკაფიოდ იკვეთება კვლევითი კომპეტენციების პრიორიტეტულობა, რაც სრულ შესაბამისობაშია მაგისტრატურის საფეხურის მოთხოვნებთან. სტუდენტი არა მხოლოდ ფლობს თეორიულ ცოდნას, არამედ შეუძლია კვლევის დაგეგმვა, მეთოდების შერჩევა და შედეგების ანალიზი.

სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია სასწავლო კურსების შინაარსითა და სტრუქტურით. მაგალითად, კურსი „ხელოვნების ნაწარმოების ანალიზი და კვლევის მეთოდები“ პირდაპირ ემსახურება ანალიტიკური და კვლევითი უნარების განვითარებას და უზრუნველყოფს შესაბამისი შედეგების მიღწევას.

პროგრამაში წარმოდგენილია სწავლის შედეგებისა და სასწავლო კომპონენტების შესაბამისობის მატრიცა, რაც ადასტურებს, რომ თითოეული შედეგი უზრუნველყოფილია შესაბამისი სასწავლო კურსებითა და აქტივობებით. შედეგების მიღწევა შეფასდება სხვადასხვა ფორმით (შუალედური და დასკვნითი გამოცდები, წერითი დავალებები, კვლევითი პროექტი - სამაგისტრო ნაშრომი), რაც უზრუნველყოფს შეფასების მრავალფეროვნებასა და სანდოობას.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის სწავლის შედეგები ასახავს მოდულურ სტრუქტურას, რაც გულისხმობს, რომ როგორც ძველი, ისე თანამედროვე ქართული ხელოვნების მიმართულებით სტუდენტი იძენს შესაბამის დარგობრივ ცოდნასა და ანალიტიკურ უნარებს. თითოეული მოდული ხელს უწყობს კონკრეტული კომპეტენციების გაღრმავებას, რაც საბოლოოდ ერთიანდება პროგრამის საერთო სწავლის შედეგებში.

სწავლის შედეგები შესაბამისობაშია შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა პროფესიულ მზადყოფნას როგორც აკადემიურ, ისე პრაქტიკულ სფეროებში (კვლევითი ინსტიტუტები, მუზეუმები, საგანმანათლებლო დაწესებულებები, კულტურული მემკვიდრეობის სფერო და სხვ.).

პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს ხელოვნების ისტორიის დარგში ღრმა და სისტემური ცოდნის ფორმირებას. კურსდამთავრებული არა მხოლოდ ფლობს ხელოვნების განვითარების ეტაპებსა და თეორიულ საფუძვლებს, არამედ განსაზღვრავს ხელოვნების

ნიმუშის შეფასების მეთოდებს და აცნობიერებს მხატვრული პროცესების შინაარსობრივ თავისებურებებს.

მნიშვნელოვანია, რომ ცოდნის კომპონენტი ინტერდისციპლინურია - პროგრამა პირდაპირ მოითხოვს მომიჯნავე დარგებთან (ისტორია, არქეოლოგია, ფილოსოფია, ლიტერატურა, თეატრი, კინო და სხვ.) კავშირების გააზრებას და გამოყენებას ხელოვნებათმცოდნეობითი პრობლემების ანალიზში. ეს მნიშვნელოვნად აძლიერებს შედეგების დარგობრივ სპეციფიკურობას.

სწავლის შედეგები მკაფიოდ არის ორიენტირებული კვლევით და ანალიტიკურ უნარებზე. კურსდამთავრებული:

- აანალიზებს ხელოვნების ისტორიის კონკრეტულ პრობლემებს;
- განსაზღვრავს კვლევის მეთოდებს და მუშაობს წყაროებზე;
- განიხილავს ხელოვნების ნიმუშებს ეპოქის ისტორიულ-კულტურულ კონტექსტში;
- იყენებს ინტერდისციპლინურ ცოდნას პრაქტიკული ამოცანების გადასაჭრელად.

აღნიშნული უნარები არ არის დეკლარაციული - მათი განვითარება უზრუნველყოფილია კონკრეტული სასწავლო კურსებით. მაგალითად, კურიკულუმის რუკა აჩვენებს, რომ კვლევითი პროექტი - „სამაგისტრო ნაშრომი“ - უზრუნველყოფს უმაღლესი დონის (განმტკიცების) კომპეტენციების განვითარებას, რაც მიუთითებს სწავლის შედეგების რეალურ მიღწევადობაზე.

პროგრამის სწავლის შედეგები მოიცავს პროფესიული დამოუკიდებლობისა და პასუხისმგებლობის განვითარებას. კურსდამთავრებული:

- დამოუკიდებლად გეგმავს პროფესიულ საქმიანობას;
- ორგანიზებას უწევს კვლევით პროცესს;
- მოქმედებს პროფესიული ეთიკის დაცვით;
- მონაწილეობს კულტურული ღირებულებების ფორმირებასა და პოპულარიზაციაში.

აღნიშნული შედეგები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხელოვნებათმცოდნეობის სფეროში, სადაც პროფესიული საქმიანობა მჭიდროდ არის დაკავშირებული კულტურულ მემკვიდრეობასთან და საზოგადოებრივ პასუხისმგებლობასთან.

პროგრამის მნიშვნელოვანი ძლიერი მხარეა სწავლის შედეგების მიღწევის სისტემური უზრუნველყოფა. კურიკულუმის რუკა ცხადყოფს, რომ:

- თითოეული სასწავლო კურსი დაკავშირებულია კონკრეტულ სწავლის შედეგებთან;
- შედეგები ვითარდება ეტაპობრივად - გაცნობიდან გაღრმავებისა და განმტკიცების დონემდე;
- კვლევითი კომპონენტები (კვლევითი პროექტი - „სამაგისტრო ნაშრომი“) უზრუნველყოფს საბოლოო შედეგების კონსოლიდაციას.

ასევე, პროგრამაში განსაზღვრულია სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომელიც მოიცავს როგორც პირდაპირ (გამოცდები, ნაშრომები), ისე არაპირდაპირ (სტუდენტთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა) მეთოდებს და ეფუძნება კონკრეტულ სამიზნე ნიშნულებს (მაგ., სტუდენტთა 70–80%-ის მიერ შედეგების მიღწევა). ეს მიუთითებს შედეგებზე ორიენტირებულ და მონაცემებზე დაფუძნებულ მიდგომაზე.

პროგრამის სწავლის შედეგები არის მკაფიო, დარგობრივად სპეციფიკური და მიზნებთან ლოგიკურად დაკავშირებული. მათი მიღწევა უზრუნველყოფილია კურიკულუმის სტრუქტურით, სასწავლო კომპონენტების სისტემური კავშირით და შეფასების მექანიზმებით, რაც სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან.

## მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში
- ხელოვნების ისტორიისა და თეორიის (ხელოვნებათმცოდნეობის) სამაგისტრო პროგრამა;
- უნივერსიტეტის ვებ გვერდი;
- სილაბუსები

## რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

## რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

## შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი                                     | შეფასება        |
|------------------------------------------------|-----------------|
| <a href="#">1.2 პროგრამის სწავლის შედეგები</a> | შესაბამისობაშია |

### 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

## საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და

შეფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია სწავლის შედეგების შეფასების მკაფიო და სტრუქტურირებული მექანიზმი, რომელიც მოიცავს როგორც შეფასების პროცესის დაგეგმვას, ისე მიღებული შედეგების ანალიზსა და გამოყენებას პროგრამის განვითარებისათვის. აღნიშნული მექანიზმი წარმოდგენილია სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში, სადაც დეტალურად არის განსაზღვრული თითოეული სწავლის შედეგის შეფასების ფორმები, მეთოდები, დრო, პასუხისმგებელი პირები და სამიზნე ნიშნულები.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ეფუძნება როგორც პირდაპირ, ისე სამაგისტრო ნაშრომი, სასწავლო კურსების ფარგლებში (მაგ., გამოცდები, წერიტი ნამუშევრები, პროექტები), რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა აკადემიური მიღწევების ობიექტურ გაზომვას. მაგალითად, ცალკეული სწავლის შედეგების შეფასება უკავშირდება კონკრეტულ კურსებს, როგორცაა „უძველესი და ანტიკური ხელოვნების ძეგლები საქართველოში“, „შუა საუკუნეების ქართული სახვითი ხელოვნების ისტორია“, კვლევითი პროექტი - და სხვ., რაც მიუთითებს შეფასების პროცესის მიზნობრივ და დარგობრივად შესაბამის ორგანიზებაზე.

არაპირდაპირი შეფასების ფარგლებში გამოიყენება სტუდენტთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა, რაც საშუალებას იძლევა შეფასდეს არა მხოლოდ აკადემიური მიღწევები, არამედ კურსდამთავრებულთა კომპეტენციების რეალური გამოყენება პროფესიულ გარემოში. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხელოვნებათმცოდნეობის სფეროში, სადაც პრაქტიკული და პროფესიული უნარების შეფასება ხშირად საჭიროებს გარე შეფასებას.

პროგრამაში განსაზღვრულია სწავლის შედეგების შეფასების მკაფიო მექანიზმები, რომლებიც მოიცავს როგორც შუალედურ, ისე დასკვნით შეფასებებს, ასევე სხვადასხვა ტიპის აქტივობებს - წერით დავალებებს, პრეზენტაციებს, დისკუსიებსა და სამაგისტრო ნაშრომს. აღნიშნული მრავალფეროვანი მიდგომა უზრუნველყოფს სტუდენტის ცოდნისა და უნარების კომპლექსურ შეფასებას.

სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებისა და სამიზნე ნიშნულების საფუძველზე. თითოეული სწავლის შედეგისთვის განსაზღვრულია შეფასების მექანიზმები და პასუხისმგებელი პირები (ლექტორი, პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური), რაც ზრდის პროცესის სანდოობასა და ობიექტურობას.

პროგრამის მნიშვნელოვანი ძლიერი მხარეა შეფასების პროცესის რაოდენობრივ ინდიკატორებზე დაფუძნება. განსაზღვრულია კონკრეტული სამიზნე ნიშნულები - მაგალითად, სტუდენტთა 70-80%-ის მიერ შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევა, რაც იზომება კონკრეტული ქულობრივი დიაპაზონებით (მაგ., 40-ქულიანი ან 100-ქულიანი შეფასების სისტემაში). აღნიშნული მიუთითებს, რომ შეფასება ეფუძნება წინასწარ განსაზღვრულ, გაზომვად კრიტერიუმებს და არ არის ფორმალური ხასიათის.

შეფასების მექანიზმი მოიცავს მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის პროცესსაც. თითოეული სწავლის შედეგისთვის განსაზღვრულია, თუ რა მონაცემები უნდა შეგროვდეს, როდის განხორციელდება შეფასება და ვინ არის პასუხისმგებელი პირი. ეს უზრუნველყოფს პროცესის სისტემურობას და გამჭვირვალობას. ამასთან, შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის განვითარებისათვის, რაც მიუთითებს უკუკავშირის მექანიზმის არსებობაზე.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სწავლის შედეგების შეფასება დაკავშირებულია კურიკულუმის სტრუქტურასთან. შეფასება ხორციელდება იმ სასწავლო კომპონენტებში, რომლებიც უზრუნველყოფენ შესაბამისი შედეგების მიღწევას (მაგ., კვლევითი შედეგები - კვლევითი პროექტის - „სამაგისტრო ნაშრომის“ ფარგლებში), რაც მიუთითებს შეფასების ლოგიკურ და შინაარსობრივ თანხვედრაზე პროგრამის მთლიან კონსტრუქციასთან.

ამგვარად, პროგრამაში წარმოდგენილი შეფასების მექანიზმი არ შემოიფარგლება მხოლოდ სტუდენტთა ცოდნის შემოწმებით, არამედ მოიცავს შედეგებზე დაფუძნებულ, მონაცემებზე ორიენტირებულ და განვითარებისკენ მიმართულ პროცესს.

## მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში
- ხელოვნების ისტორიისა და თეორიის (ხელოვნებათმცოდნეობის) სამაგისტრო პროგრამა;
- კურიკულუმის შედეგების რუკა;
- პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები;
- უნივერსიტეტის ვებ გვერდი;

## რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
- რეკომენდირებულია, რომ პროგრამამ უფრო სისტემურად წარმოაჩინოს სწავლის შედეგების შეფასების ანალიზზე დაფუძნებული გაუმჯობესების პრაქტიკა, მათ შორის მიღებული შედეგების საფუძველზე განხორციელებული ცვლილებების დოკუმენტირება.

## რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის
- სასურველია, სწავლის შედეგების შეფასების ანალიზში უფრო აქტიურად იქნას გამოყენებული დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა უკუკავშირი.

## შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი                                                 | შეფასება                 |
|------------------------------------------------------------|--------------------------|
| <b>1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი</b> | მეტწილად შესაბამისობაშია |

## 1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

## **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული კურიკულუმისა და სილაბუსების, ასევე აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ პროგრამა შემუშავებულია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად და აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს.

პროგრამის სტრუქტურა არის თანმიმდევრული, ლოგიკურად აგებული და ეფუძნება კომპეტენციებზე ორიენტირებულ მიდგომას. იგი მოიცავს 120 ECTS კრედიტს და აერთიანებს სავალდებულო სასწავლო კურსებს, მოდულურ სპეციალიზაციას, არჩევით კომპონენტებს, პრაქტიკას, კვლევით პროექტსა და სამაგისტრო ნაშრომს. აღნიშნული კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს სტუდენტის ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობის სისტემურ და ეტაპობრივ განვითარებას.

პროგრამის სტრუქტურის ანალიზი აჩვენებს, რომ კომპონენტებს შორის დაცულია მკაფიო ლოგიკური თანმიმდევრობა და შიდა კავშირი. სასწავლო პროცესი იწყება დარგის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლების შესწავლით, რაც ქმნის აუცილებელ აკადემიურ ბაზას შემდგომი სპეციალიზაციისთვის. ამ კონტექსტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი სავალდებულო კურსები, რომლებიც ორიენტირებულია კვლევითი და ანალიტიკური უნარების განვითარებაზე. შემდგომ ეტაპზე სტუდენტი გადადის სპეციალიზებულ დისციპლინებზე, მოდულურ სწავლებაზე, პრაქტიკულ აქტივობებსა და კვლევით კომპონენტზე, რაც საბოლოოდ კონცენტრირდება სამაგისტრო ნაშრომში. აღნიშნული თანმიმდევრობა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების ეტაპობრივ და მიზანმიმართულ მიღწევას.

პროგრამის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ძლიერ მხარეს წარმოადგენს მისი **მოდულური სტრუქტურა**, რომელიც სტუდენტს სთავაზობს არჩევანს ორ მიმართულებას შორის: ძველი ქართული ხელოვნების ისტორია და თანამედროვე ქართული ხელოვნების ისტორია. თითოეული მოდული წარმოადგენს შინაარსობრივად დამოუკიდებელ, თუმცა პროგრამის საერთო მიზნებთან თანხვედრილ კომპონენტს, რომელსაც გააჩნია საკუთარი მიზნები და ამოცანები. ძველი ქართული ხელოვნების მოდული ორიენტირებულია კულტურული მემკვიდრეობის, ისტორიულ-რელიგიური კონტექსტების და ტრადიციული მხატვრული ფორმების სიღრმისეულ კვლევაზე, მაშინ როდესაც თანამედროვე ხელოვნების მოდული ფოკუსირებულია თანამედროვე მხატვრულ პროცესებზე, გლობალურ ტენდენციებზე და თანამედროვე კულტურულ კონტექსტებზე. აღნიშნული დიფერენციაცია უზრუნველყოფს როგორც დარგობრივი ცოდნის გაღრმავებას, ისე სტუდენტის ინდივიდუალური აკადემიური ინტერესების გათვალისწინებას.

პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს **კვლევით კომპონენტს**, რომელიც წარმოადგენილია როგორც დამოუკიდებელი კვლევითი პროექტით, ასევე სამაგისტრო ნაშრომით. კვლევითი პროექტი ხელს უწყობს მცირე მასშტაბის დამოუკიდებელი კვლევის განხორციელებას და მეთოდოლოგიური უნარების პრაქტიკულ გამოყენებას, ხოლო სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს პროგრამის შემაჯამებელ ეტაპს, სადაც სტუდენტი სრულყოფილად ავლენს კვლევით, ანალიტიკურ და კრიტიკულ უნარებს. აღნიშნული კომპონენტი სრულ შესაბამისობაშია მაგისტრატურის საფეხურის მოთხოვნებთან და

უზრუნველყოფს აკადემიური და პროფესიული კომპეტენციების მაღალ დონეზე ფორმირებას.

პროგრამის შინაარსი გამოირჩევა ინტერდისციპლინური ხასიათით და მოიცავს მომიჯნავე დარგებს, როგორცაა ფილოსოფია, კულტურული მემკვიდრეობა, მუზეუმოლოგია, კომუნიკაციები და სხვ. ეს ხელს უწყობს სტუდენტებში ფართო აკადემიური ხედვის ჩამოყალიბებას და ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას სხვადასხვა პროფესიულ კონტექსტში.

ამასთანავე, პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან - „ხელოვნების ისტორიისა და თეორიის მაგისტრი.“ პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა, მათი შინაარსი, მოცულობა და თანმიმდევრობა უზრუნველყოფს იმ კომპეტენციების ფორმირებას, რომლებიც განსაზღვრულია პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, შეესაბამება დარგის სპეციფიკას და ქმნის მყარ საფუძველს სტუდენტთა პროფესიული და აკადემიური განვითარებისათვის.

### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში
- ხელოვნების ისტორიისა და თეორიის (ხელოვნებათმცოდნეობის) სამაგისტრო პროგრამა;
- კურიკულუმის შედეგების რუკა;
- უნივერსიტეტის ვებ გვერდი;

### **რეკომენდაციები**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
- რეკომენდირებულია, პროგრამის სტრუქტურაში კიდევ უფრო გაძლიერდეს საერთაშორისო და შედარებითი სახელოვნებო კვლევების კომპონენტი, რაც სტუდენტთა აკადემიურ პროფილს გააფართოებს.
- რეკომენდირებულია, სწავლის შედეგებში უფრო მკაფიოდ აისახოს ციფრული ჰუმანიტარიის, თანამედროვე კვლევითი პლატფორმებისა და საერთაშორისო აკადემიური რესურსების გამოყენების უნარები, რაც გააძლიერებს შედეგების შესაბამისობას თანამედროვე აკადემიურ სტანდარტებთან. სასურველია, კიდევ უფრო გაფართოვდეს ციფრული სწავლების კომპონენტები და ელექტრონული რესურსების ინტეგრაცია, რაც გააძლიერებს სტუდენტთა კვლევით და საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში ჩართულობის შესაძლებლობებს.
-

## რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

### **შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი                                                 | შეფასება                 |
|------------------------------------------------------------|--------------------------|
| <u>1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი</u> | მეტწილად შესაბამისობაშია |

### **1.5 სასწავლო კურსი/საგანი**

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

### **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის (კურიკულუმისა და სასწავლო კურსების სილაბუსების) ანალიზი ცხადყოფს, რომ სასწავლო კურსების შინაარსი, მოცულობა, კრედიტების განაწილება და სტუდენტის სამუშაო დატვირთვა უზრუნველყოფს როგორც კონკრეტული კურსების, ისე მთლიანად პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას და შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

პროგრამის სასწავლო კურსები დაგეგმილია კომპეტენციებზე ორიენტირებული მიდგომით და მათი შინაარსი თანმიმდევრულად და ლოგიკურად არის დაკავშირებული როგორც კურსის შიდა მიზნებთან, ისე პროგრამის საერთო მიზნებსა და სწავლის შედეგებთან. თითოეული სასწავლო კურსი განსაზღვრავს კონკრეტულ სწავლის შედეგებს, რომლებიც ასახავს ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობის კომპონენტებს და უზრუნველყოფს პროგრამის შედეგების მიღწევას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა და სამუშაო დატვირთვა სრულად შეესაბამება ECTS-ის პრინციპებს და ასახავს სტუდენტის რეალურ აკადემიურ დატვირთვას. წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სასწავლო კურსების უმრავლესობა 5 ECTS კრედიტის მოცულობით, რაც შეადგენს 125 საათიან საერთო დატვირთვას. აქედან 30 საათი ეთმობა საკონტაქტო მუშაობას (მათ შორის 15 საათი ლექციას, 12 საათი ჯგუფურ მუშაობას, 2 საათი შუალედურ

შეფასებას და 1 საათი დასკვნით გამოცდას), ხოლო 95 საათი განკუთვნილია დამოუკიდებელი მუშაობისთვის.

დამოუკიდებელი სამუშაო საათები დეტალურად არის სტრუქტურირებული: დაახლოებით 40 საათი ეთმობა ჯგუფური მუშაობისთვის მომზადებას, 25 საათი - შუალედური შეფასებისთვის მომზადებას, ხოლო 30 საათი - დასკვნითი გამოცდისთვის მომზადებას, რაც ცხადყოფს, რომ კურსი ორიენტირებულია არა მხოლოდ თეორიული მასალის მიწოდებაზე, არამედ სტუდენტის აქტიურ ჩართულობაზე, ანალიზსა და დამოუკიდებელ კვლევით საქმიანობაზე.

ძირითადი სფეროს სასწავლო კურსები ქმნის პროგრამის აკადემიურ ბირთვს და უზრუნველყოფს დარგობრივი კომპეტენციების სისტემურ განვითარებას. აღნიშნული კურსები ორიენტირებულია როგორც ცოდნის მიღებაზე, ისე ანალიტიკური, კრიტიკული და კვლევითი უნარების განვითარებაზე. მაგალითად, ზემოხსენებული კურსი მოიცავს ხელოვნებათმცოდნეობითი კვლევის მრავალფეროვან მეთოდოლოგიურ მიდგომებს (იკონოგრაფიული, იკონოლოგიური, სემიოტიკური, ჰერმენევტიკული, სოციალური და სხვ.), რაც პირდაპირ უკავშირდება პროგრამის სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სასწავლო კურსების შინაარსი უზრუნველყოფს ცოდნის ეტაპობრივ გაღრმავებას - საწყის ეტაპზე სტუდენტი ეუფლება თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძვლებს, შემდგომში გადადის სპეციალიზებულ თემატიკაზე და პრაქტიკულ ანალიტიკურ აქტივობებზე. აღნიშნული თანმიმდევრობა უზრუნველყოფს კომპეტენციების სისტემურ და პროგრესულ განვითარებას.

პროგრამაში წარმოდგენილი სასწავლო კურსები ასევე ასახავს ინტერდისციპლინურ მიდგომას და მოიცავს მომიჯნავე დარგებს, როგორცაა ფილოსოფია, კულტურული მემკვიდრეობა, მუზეუმოლოგია და სხვა, რაც ხელს უწყობს სტუდენტებში ფართო აკადემიური ხედვის ჩამოყალიბებას და ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას სხვადასხვა პროფესიულ კონტექსტში.

სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა (ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა) შეესაბამება კურსის მიზნებსა და სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის როგორც ფუნდამენტური, ისე თანამედროვე დარგობრივი ცოდნის მიწოდებას. გამოყენებული ლიტერატურა მოიცავს როგორც კლასიკურ, ისე თანამედროვე სამეცნიერო ნაშრომებს, რაც ზრდის სწავლების ხარისხსა და აქტუალობას.

სილაბუსებში ასევე დეტალურად არის გაწერილი სწავლების მეთოდები (ევრისტიკული მეთოდი, დისკუსია, ჯგუფური მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ანალიზი და სინთეზი) და შეფასების სისტემა, რომელიც ეფუძნება მრავალკომპონენტულ მოდელს. კერძოდ, შუალედური შეფასება მოიცავს 60 ქულას (დისკუსიები, წერიტი დავალებები, ესეი და შუალედური გამოცდა), ხოლო დასკვნითი გამოცდა - 40 ქულას. აღნიშნული მრავალფეროვანი შეფასების სისტემა უზრუნველყოფს სტუდენტის ცოდნისა და უნარების კომპლექსურ შეფასებას.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სასწავლო კურსების შინაარსი, კრედიტების განაწილება, საათობრივი დატვირთვა, სწავლების მეთოდები და სასწავლო მასალა სრულად უზრუნველყოფს როგორც კონკრეტული კურსების, ისე მთლიანად პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას და ქმნის მყარ საფუძველს სტუდენტის აკადემიური და პროფესიული განვითარებისათვის.

## მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში
- ხელოვნების ისტორიისა და თეორიის (ხელოვნებათმცოდნეობის) სამაგისტრო პროგრამა;
- სილაბუსები;
- პროგრამის სწავლის შედეგები;
- პერსონალის სია საგნებისა და პოზიციის მითითებით;
- კურიკულუმის შედეგების რუკა;
- უნივერსიტეტის ვებ გვერდი;

#### რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

#### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის
- სასურველია, სილაბუსებში სისტემურად განახლდეს უახლესი საერთაშორისო სამეცნიერო ლიტერატურა და ელექტრონული რესურსები, განსაკუთრებით იმ კურსებში, რომლებიც თანამედროვე კვლევით მიდგომებს ეხება.

#### **შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი                       | შეფასება        |
|----------------------------------|-----------------|
| <u>1.5 სასწავლო კურსი/საგანი</u> | შესაბამისობაშია |

## **2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### **2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები**

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

## **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის დოკუმენტაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ პროგრამაზე „ხელოვნების ისტორია და თეორია (ხელოვნებათმცოდნეობა)“ დაშვების წინაპირობები მკაფიოდ არის განსაზღვრული და სრულად შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებს. დაშვების პროცედურები უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას, სამართლიანობასა და საჯაროობას, რაც ქმნის თანაბარ პირობებს ყველა დაინტერესებული პირისათვის.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მოიცავს შესაბამის აკადემიურ კვალიფიკაციას და კომპეტენციებს. პროგრამაზე მიღება შეუძლიათ ხელოვნებათმცოდნეობის, ხელოვნების, არქიტექტურის, რესტავრაცია/კონსერვაციის, კულტურის კვლევების ან მომიჯნავე ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ბაკალავრის ხარისხის მქონე კანდიდატებს, რაც უზრუნველყოფს პროგრამის შინაარსთან შესაბამის საბაზისო ცოდნას. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ პროგრამაში ჩაირიცხო სტუდენტები, რომელთაც გააჩნიათ დარგობრივი და ინტერდისციპლინური საფუძველი.

დაშვების პროცესი მრავალკომპონენტიანია და მოიცავს საერთო სამაგისტრო გამოცდას, სასპეციალიზაციო ზეპირ გამოცდას „მსოფლიო და ქართული ხელოვნების ისტორიაში“ და ინგლისური ენის არანაკლებ B1 დონის ცოდნის დადასტურებას. აღნიშნული კომპონენტების კომბინაცია უზრუნველყოფს კანდიდატთა როგორც ზოგადი აკადემიური მზაობის, ისე დარგობრივი ცოდნისა და ანალიტიკური უნარების შეფასებას, რაც სრულად შეესაბამება სამაგისტრო საფეხურის მოთხოვნებს.

პროგრამის შინაარსისა და სტრუქტურის ანალიზი ადასტურებს, რომ დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებთან. პროგრამა ორიენტირებულია როგორც თეორიული ცოდნის გაღრმავებაზე, ასევე კვლევითი და პრაქტიკული უნარების განვითარებაზე (მათ შორის, სამაგისტრო ნაშრომის შესრულება), რაც თავის მხრივ საჭიროებს შესაბამისი საწყისი კომპეტენციების მქონე სტუდენტების შერჩევას. ამასთან, სასპეციალიზაციო გამოცდის საკითხები, ჩატარების წესი და შეფასების კრიტერიუმები წინასწარ ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და პროცესის გამჭვირვალობას. ინგლისური ენის ცოდნის მოთხოვნა ასევე მნიშვნელოვანია სტუდენტთა აკადემიური და კვლევითი საქმიანობის ეფექტიანობისთვის, განსაკუთრებით საერთაშორისო სამეცნიერო რესურსებთან წვდომის კონტექსტში.

შედეგად, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები არამარტო ფორმალურად აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს, არამედ ფუნქციურადაც არის მორგებული პროგრამის სპეციფიკაზე, რაც უზრუნველყოფს შესაბამისი კონტინგენტის შერჩევას და პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

## **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში
- ხელოვნების ისტორიისა და თეორიის (ხელოვნებათმცოდნეობის) სამაგისტრო პროგრამა;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

### რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

### **შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი                                   | შეფასება        |
|----------------------------------------------|-----------------|
| <u>2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</u> | შესაბამისობაშია |

### **2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

### **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

საგანმანათლებლო პროგრამის „ხელოვნების ისტორია და თეორია (ხელოვნებათმცოდნეობა)“ კურიკულუმისა და თვითშეფასების ანგარიშის ანალიზი ცხადყოფს, რომ პროგრამა კომპეტენციებზე დაფუძნებული მიდგომის შესაბამისად, სისტემურად და თანმიმდევრულად უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო-კვლევითი, შემოქმედებითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას. აღნიშნული სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან და ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის (ESG) პრინციპებთან, რომლებიც სწავლების პროცესის შედეგზე ორიენტირებულობასა და სტუდენტზე ცენტრირებულობას უსვამს ხაზს.

პროგრამის სტრუქტურა (120 ECTS) მკაფიოდ ასახავს კვლევითი კომპონენტის მნიშვნელოვან წილს. კურიკულუმი მოიცავს კვლევით პროექტს (5 კრედიტი) და სამაგისტრო ნაშრომს (30 კრედიტი), რაც ჯამში 35 კრედიტს შეადგენს და უზრუნველყოფს სტუდენტთა დამოუკიდებელი კვლევითი უნარების სრულ ციკლს - კვლევის დაგეგმვიდან შედეგების აკადემიურ ფორმატში წარმოდგენამდე. აღნიშნული კომპონენტები სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას შეარჩიონ აქტუალური კვლევითი პრობლემატიკა, გამოიყენონ შესაბამისი მეთოდოლოგია და მოახდინონ შედეგების ანალიზი, რაც სრულად შეესაბამება სამაგისტრო საფეხურის მოთხოვნებს.

კვლევითი უნარების განვითარება პროგრამაში არ შემოიფარგლება მხოლოდ კვლევითი კომპონენტებით. კურიკულუმი მოიცავს სპეციალობის ძირითად და მოდულის კურსებს (ჯამში 70 კრედიტი), რომლებიც ორიენტირებულია ანალიტიკური, ინტერპრეტაციული და კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებაზე. პროგრამა სტუდენტს სთავაზობს ორ სპეციალიზაციას - ძველი ქართული ხელოვნების ისტორია და თანამედროვე ქართული ხელოვნების ისტორია - რაც უზრუნველყოფს როგორც ისტორიული, ისე თანამედროვე სახელოვნებო პროცესების ღრმა და სისტემურ გააზრებას. აღნიშნული მოდულური სტრუქტურა ხელს უწყობს როგორც დარგობრივი კომპეტენციების გაღრმავებას, ისე ინტერდისციპლინური ხედვის ჩამოყალიბებას.

პროგრამა მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს პრაქტიკული უნარების განვითარებას. კურიკულუმში ინტეგრირებულია „სამუზეუმო პრაქტიკა“ (5 კრედიტი), რომელიც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას რეალურ პროფესიულ გარემოში განავითარონ პრაქტიკული კომპეტენციები. პრაქტიკის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამის ინსტიტუციებთან გაფორმებული მემორანდუმების საფუძველზე (მათ შორის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოები და მუზეუმები), რაც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას ჩაერთონ კულტურული მემკვიდრეობის კვლევის, დაცვისა და პოპულარიზაციის პროცესებში. აღნიშნული პრაქტიკული გამოცდილება მნიშვნელოვნად ზრდის კურსდამთავრებულთა დასაქმების პოტენციალს.

ტრანსფერული უნარების განვითარება პროგრამაში უზრუნველყოფილია როგორც სასწავლო პროცესის მეთოდოლოგიური მრავალფეროვნებით, ისე კურიკულუმის შინაარსით. პროგრამა მოიცავს ისეთ კურსებს, როგორიცაა კულტურის მენეჯმენტი, მარკეტინგული კომუნიკაციები, საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგია და ტაქტიკა, რაც ხელს უწყობს კომუნიკაციის, ორგანიზაციული, მენეჯერული და გუნდური მუშაობის უნარების განვითარებას. ასევე, სტუდენტებში ყალიბდება პრეზენტაციის, აკადემიური წერის, კრიტიკული ანალიზისა და პრობლემის გადაჭრის უნარები, რაც აუცილებელია როგორც აკადემიურ, ისე პროფესიულ გარემოში წარმატებისთვის.

პროგრამის მნიშვნელოვანი მახასიათებელია მისი შრომის ბაზართან შესაბამისობა. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, პროგრამა ორიენტირებულია ისეთი სპეციალისტის მომზადებაზე, რომელიც შეძლებს საქმიანობას სხვადასხვა სფეროში, მათ შორის: სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში, მუზეუმებსა და გალერეებში, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში, ტურიზმში, მედიაში და საგანმანათლებლო დაწესებულებებში. პროგრამის პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტები სწორედ ამ მრავალპროფილურ დასაქმების შესაძლებლობებს ემსახურება და უზრუნველყოფს სტუდენტთა ადაპტირებას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

გარდა ამისა, პროგრამა ხელს უწყობს სტუდენტთა ჩართულობას სამეცნიერო და პროფესიულ აქტივობებში, მათ შორის კვლევითი პროექტების განხორციელებასა და შედეგების პრეზენტაციას, რაც ავითარებს დამოუკიდებელი მუშაობის, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის უნარებს. პროგრამის ფარგლებში მნიშვნელოვანი წილი ეთმობა დამოუკიდებელ მუშაობას, რაც სტუდენტებს უყალიბებს კვლევის დაგეგმვის, ინფორმაციის მოძიებისა და დროის ეფექტიანი მართვის უნარებს.

ამრიგად, პროგრამა უზრუნველყოფს პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარების ინტეგრირებულ და თანმიმდევრულ მოდელს, რომელიც ეფუძნება თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების სინთეზს, კომპეტენციებზე დაფუძნებულ მიდგომას და სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში
- ხელოვნების ისტორიისა და თეორიის (ხელოვნებათმცოდნეობის) სამაგისტრო პროგრამა;
- სილაბუსები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

### რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის
- სასურველია, პროგრამამ კიდევ უფრო გააძლიეროს სტუდენტთა ჩართულობა საერთაშორისო კვლევით და პროფესიულ პროექტებში, რაც ხელს შეუწყობს მათი კვლევითი და ტრანსფერული კომპეტენციების საერთაშორისო დონეზე განვითარებას.

### შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შეფასება |
|------------|----------|
|------------|----------|

### 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

#### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

საგანმანათლებლო პროგრამის ანალიზი ცხადყოფს, რომ სწავლება-სწავლის მეთოდები მრავალფეროვანი, თანამედროვე და სტუდენტზე ორიენტირებულია, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. გამოყენებული მეთოდები შეესაბამება როგორც დარგის სპეციფიკას (ხელოვნებათმცოდნეობა), ისე სამაგისტრო საფეხურის მოთხოვნებს და ხელს უწყობს როგორც თეორიული ცოდნის გაღრმავებას, ასევე პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებას.

კურიკულუმის მიხედვით, სწავლების პროცესში გამოიყენება სხვადასხვა აქტიური და ინტერაქტიული მეთოდები, მათ შორის: ვერბალური (ზეპირსიტყვიერი) მეთოდი, წიგნზე მუშაობა, წერიტი მუშაობა, დისკუსია და დებატები, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, ევრისტიკული მეთოდი, გონებრივი იერიში (brainstorming), როლური და სიტუაციური თამაშები, დემონსტრირების მეთოდი, ასევე ანალიზისა და სინთეზის მეთოდები. აღნიშნული მეთოდების მრავალფეროვნება უზრუნველყოფს სხვადასხვა ტიპის სწავლის სტილის მქონე სტუდენტების ჩართულობას და სწავლის პროცესის ეფექტიანობას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სწავლების პროცესში აქცენტი კეთდება აქტიურ და პრაქტიკაზე ორიენტირებულ სწავლაზე. სტუდენტები ჩართულნი არიან ჯგუფურ სამუშაოებში, პრეზენტაციებში, პროექტების შემუშავებასა და წარდგენაში, რაც ხელს უწყობს კომუნიკაციის, თანამშრომლობისა და კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებას. ასევე, პროგრამა ითვალისწინებს დამოუკიდებელი მუშაობის მნიშვნელოვან წილს, რაც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას განავითარონ თვითორგანიზების, ინფორმაციის მოძიებისა და ანალიზის უნარები.

სწავლების პროცესში ინტეგრირებულია როგორც ტრადიციული, ისე თანამედროვე პედაგოგიური მიდგომები, რაც უზრუნველყოფს ცოდნის ტრანსფორმაციას პრაქტიკულ კომპეტენციებში. დამატებით, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მიიღონ კონსულტაციები აკადემიური პერსონალისგან როგორც განსაზღვრული გრაფიკის ფარგლებში, ისე დისტანციურად, რაც ზრდის სწავლების ხელმისაწვდომობას და ინდივიდუალურ მხარდაჭერას.

პროგრამის სწავლება-სწავლის მეთოდები პირდაპირ არის დაკავშირებული სწავლის შედეგებთან და უზრუნველყოფს მათი მიღწევისათვის საჭირო ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების განვითარებას. გამოყენებული მეთოდები ხელს უწყობს არა მხოლოდ ინფორმაციის მიღებას, არამედ მის გააზრებას, კრიტიკულ შეფასებასა და პრაქტიკაში გამოყენებას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხელოვნებათმცოდნეობის დარგისთვის.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში
- ხელოვნების ისტორიისა და თეორიის (ხელოვნებათმცოდნეობის) სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმი;
- სილაბუსები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

### რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

### შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი                                    | შეფასება        |
|-----------------------------------------------|-----------------|
| <a href="#">2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები</a> | შესაბამისობაშია |

### 2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

საგანმანათლებლო პროგრამის „ხელოვნების ისტორია და თეორია (ხელოვნებათმცოდნეობა)“ შეფასების სისტემა არის გამჭვირვალე, ობიექტური და მრავალკომპონენტური, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა მიღწევების ადეკვატურ შეფასებას და სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან.

კურიკულუმის მიხედვით, სტუდენტთა ცოდნის შეფასება ხორციელდება 100-ქულიანი სისტემით, რომელიც მოიცავს შუალედურ შეფასებას (მაქსიმუმ 60 ქულა) და დასკვნით გამოცდას (მაქსიმუმ 40 ქულა). აღნიშნული მოდელი უზრუნველყოფს სწავლების პროცესში მიმდინარე შეფასების მნიშვნელოვნებას და სტუდენტის პროგრესის ეტაპობრივ მონიტორინგს. ამასთან, განსაზღვრულია მინიმალური ზღვარი როგორც შუალედური შეფასების (არანაკლებ 21 ქულა), ისე დასკვნითი გამოცდისთვის (არანაკლებ 20 ქულა), რაც უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ პროგრამით განსაზღვრული კომპეტენციების მინიმალურ დონეზე მიღწევას.

